## პროგრამის ფორმა

| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | პროგრამის დასახელება | პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა |
|---|---|---|
| 04 02 | პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა | განათლება |

| პროგრამის განმახორციელებელი: | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია | პროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 175 000 | 175 000 | 220 000 | 220 000 |

| | |
|---|---|
| პროგრამის მიზანი | ახალგაზრდების პროფესიული განვითარების ხელშწყობა და ბათუმელ ახალგაზრდებს შორის აკადემიური მოსწრების ამაღლების სტიმულირება |
| პროგრამის აღწერა | ქალაქის ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსი ადამიანური კაპიტალია. განათლება ქალაქის განვითარებისთვის გამორჩეულად პრიორიტეტული, გრძელვადიან შედეგზე გათვლილი სფეროა. შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია უწყვეტი სწავლის სისტემის განვითარებისა და  შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობა.<br>ამ ეტაპზე ქალაქში ფუნქციონირებს 3 სახელმწიფო და 10-მდე კერძო უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, რომელთაგანაც ყველაზე დიდი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელწიფო უნივერსიტეტია. ბათუმში ასევე ხელმისაწვდომია პროფესიული განათლება.  უმაღლესი და პროფესიული განათლება, თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას არ წარმოადგენს, თუმცა, ბათუმის, როგორც დინამიურად მზარდი ქალაქისთვის, აუცილებელია კონკურენტუნარიანი, შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების განვითარება, ახალგაზრდების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მათი უცხოეთში სტაჟირებისა და  დეფიციტურ და მოთხოვნად სპეციალობებზე მომზადება - გადამზადების ხელშეწყობა,  ბათუმელი ნიჭიერი და მიზანდასახული ახალგაზრდების სტიმულირების გზით მათი აკადემიური მოსწრების ამაღლება.<br>პროგრამა 2023-2026 წლებში მოიცავს შემდეგ ქვეპროგრამებს:<br>1. პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;<br>2. სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის. |
| პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო  შედეგი | ხელშეწყობილია  ბათუმელი ახალგაზრდების  პროფესიული  განვითარება  და წახალისებულია  ბათუმელი სტუდენტები. |

| № | საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | | | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო 2022 წელი | მიზნობრივი 2023 წელი | მიზნობრივი 2024 წელი | მიზნობრივი 2025 წელი | მიზნობრივი 2026 წელი | |
| 1 | სერტიფიცირებული ახალგაზრდების რაოდენობა | 20 | 15 | 15 | 25 | 25 | 20% - მომართვიანობის ცვლილება (+/-) |
| 2 | სტიპენდიანტთა რაოდენობა | 110 | 110 | 110 | 115 | 115 | 10% - მაღალი აკადემიურ მოსწრების მქონე ბათუმელ სტუდენტთა ნაკლებობა |

## ქვეპროგრამის ფორმა

| ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | ქვეპროგრამის დასახელება | პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა |
|---|---|---|
| 04 02 01 | პროფესიული განვითარების ხელშეწყობა | პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა |

| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური | ქვეპროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 45 000 | 45 000 | 75 000 | 75 000 |

| ქვეპროგრამის მიზანი | ბათუმელი ახალგაზრდების პრაქტიკული უნარების განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა | ბათუმში, დინამურად მზარდ ქალაქში, ყოველწლიურად იზრდება ბაზრის მოთხოვნა ცალკეული სფეროს კვალიფიციურ სპეციალისტებზე. ქალაქის შემდგომი განვითარებისათვის გადამწყვეტი სწორედ ადამიანური რესურსების ხარისხია.<br>დღესდღეობით სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი მიისწრაფის პროფესიული განვითარებისკენ. დამსაქმებლების ერთ–ერთ მთავარ მოთხოვნას პოტენციური თანამშრომლის მიმართ მისი გამოცდილება წარმოადგენს. NACE-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, დამსაქმებელთა დაახლოებით 50% სტუდენტის რეზიუმეში სტაჟირებებს ანიჭებს უპირატებობას. ამავე ორგანიზაციის ცნობით, დაქირავებული თანამშრომლების 36% სწორედ სტაჟირების გავლის შედეგადაა მიღებული.<br>მუნიციპალიტეტისათვის არსებითადაა მნიშვნელოვანი ადამიანური რესურსების გაძლიერება, ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობა შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.<br>ამ მიმართულებით ყურადღება უნდა მიექცეს მაღალი ხარისხის კომპეტენციების განვითარებას, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის; მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლისათვის პროფესიული და პიროვნული განვითარების სრული და თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფას, მათ მომზადებას დასაქმებისა და თვითდასაქმებისათვის, კარიერის მდგრადი განვითარებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით.<br>ქვეპროგრამა ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს:<br>**1. ახალგაზრდების უცხოეთში სტაჟირების ხელშეწყობა -**<br>ღონისძიების ფარგლებში განხორციელდება ახალგაზრდების მხარდაჭერა (თანადაფინანსების ფორმატში), რომლებიც პროფესიულ სტაჟირებას და/ან გადამზადებას (არანაკლებ 7 დღიანი) გაივლიან უცხოეთში, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ წინსვლა - განვითარებას. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 18-29 წლის ასაკის საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც აქვს უმაღლესი ან პროფესიული განათლება ან სწავლობს ავტორიზებულ პროფესიულ ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ფლობს არანაკლებ ერთ უცხო ენას. თითოეულ სტაჟიორზე გათვალისწინებული თანხა შეადგენს - არაუმეტეს 3 000 ლარისა/მგზავრობის; ვიზის; დაზღვევის; სასტუმროს; მონაწილეობის / სარეგისტრაციო ან სხვა საფასური).<br>**2. „საერთაშორისო პრაქტიკა - მონაწილეობის მხარდაჭერა“ -**<br>ღონისძიების ფარგლებში განხორციელდება ახალგაზრდის (18-29 წლის ასაკის) მხარდაჭერა (თანადაფინანსების ფორმატში), რომელიც მონაწილეობს უცხოეთში, საგანმანათლებლო - კულტურულ, სპორტულ - ახალგაზრდულ, მოხალისეობის და სხვა ნებისმიერი სფეროს/დარგის მიმართულებით პროექტებში/ღონისძიებებში (არანაკლებ 5 დღიანი - სწავლებას /ტრენინგი ან სხვა), გამოცდილების, უნარ-ჩვევების, კომპეტენციების და კარიერული განვითარების თვალსაზრისით. თითოეულ ბენეფიციარზე გათვალისწინებული თანხა შეადგენს - არაუმეტეს 3 000 ლარისა/მგზავრობის; ვიზის; დაზღვევის; სასტუმროს; მონაწილეობის/სარეგისტრაციო ან სხვა საფასური. პროექტში მონაწილეობის ხანგრძლივობა - არანაკლებ 12 დღე. ამასთან, ახალგაზრდა უნდა ფლობდეს არანაკლებ ერთ უცხო ენას.<br>ღონისძიების მონაწილეთა შერჩევა განხორციელდება კონკურსის წესით.<br>ქვეპროგრამის ფარგლებში განაცხადების მიღება იწარმოებს 2023 წლის საკონკურსო ბიუჯეტის ამოწურვამდე.<br>კონკურსანტთა შეფასების საბოლოო შედეგი განისაზღვრება ქულათა დაჯამებით. დაფინანსდება ის კონკურსანტი, რომელიც მიიღებს მაქსიმალურ ქულათა არანაკლებ 60 პროცენტს.<br>ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტს წარმოადგენს კომისიის თავმჯდომარის პოზიცია. |

| | |
|---|---|
| | ღონისძიების დასრულების შემდეგ ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს ღონისძიებაში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი და წერილობითი ანგარიში.<br>ღონისძიებებში მონაწილეობის მსურველმა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:<br>ა) შევსებული განაცხადის ფორმა:<br>ბ საერთაშორისო პასპორტის/პირადობის დამადასტურებელი დოკუმეტის ასლები:<br>გ) მოქალაქის საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმეტი:<br>დ) სარეკომენდაციო წერილი;<br>ე) მოწვევის დამადასტურებელი დოკუმენტი;<br>ვ) 2 ფერადი ფოტოსურათი (3X4);<br>ზ) თანადაფინანსების შემთხვევაში - დამადასტურებელი საბუთი.<br>თ) განათლების დამადასტურებელი საბუთი ან ცნობა სამსახურიდან, ხოლო თუ სტაჟირების მსურველი სწავლობს ავტორიზებულ პროფესიულ ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში - ცნობა ამ დაწესებულებიდან.<br>დოკუმეტები წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე. უცხო ენაზე შესრულებული დოკუმეტი უნდა იყოს ნათარგმნი და ნოტარიულად დადასტურებული.<br>კონკურსების გამოცხადების, აპლიკაციების განხილვის, გადაწყვეტილების მიღების, ერთჯერადი ფულადი განაცემის ბენეფიციარზე გაცემის და ანგარიშგების წესი განისაზღვრება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების შესაბამისად. |
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი | ხელწყობილია ბათუმელი ახალგაზრდების პრაქტიკული უნარების განვითარება და პროფესიული ზრდა. |

| № | მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო<br>2022 წელი | მიზნობრივი<br>2023 წელი | |
| 1 | სერტიფიცირებულ ახალგაზრდების რაოდენობა | 20 | 15 | 20% -'განაცხადების რაოდენობა დამოკიდებულია მომართვიანობაზე |
| 2 | ქვეპროგრამაში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა | 40 | 30 | 20% -'განაცხადების რაოდენობა დამოკიდებულია მომართვიანობაზე |
| 3 | ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ახალგაზრდების კმაყოფილების მაჩვენებელი (დაფინანსებული ახალგაზრდების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობდნენ მორგებული იყო მათ საჭიროებებსა და ინტერესებს და ხელი შეუწყო მათ განვითარებას) | საორიენტაციო მაჩვენებელი - 70%-ზე მეტი | საორიენტაციო მაჩვენებელი - 80%-ზე მეტი | 10% - ღონისძიების არასათანადო კავშირი ღონისძიების ინტერესებსა და საჭიროებებთან. |

| № | ღონისძიების დასახელება | პროდუქტები | | | სულ (ლარი) | მათ შორის: | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის საშუალო ფასი | | საბიუჯეტო სახსრები | საკუთარი სახსრები |
| 1 | ახალგაზრდების უცხოეთში სტაჟირების ხელშეწყობა | პირი | 10 | 3 000 | 30 000 | 30 000 | |
| 2 | საერთაშორისო პრაქტიკა - მონაწილეობის მხარდაჭერა | პირი | 5 | 3 000 | 15 000 | 15 000 | |
| სულ ქვეპროგრამა | | | | | **45 000** | **45 000** | |

| № | დამატებითი ინფორმაცია |
|---|---|
| 1 | ქვეპროგრამით დასაფინანსებელ პირთა რაოდენობა წარმოადგენს საორიენტაციო მაჩვენებელს. თუ 15 პირის დაფინანსების შემდეგ, ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებული ბიუჯეტი არ ამოიწურება, შესაძლებელია ქვეპროგრამით დადგენილი პირობების დაცვით 15 პირზე მეტის დაფინანსება. |

## ქვეპროგრამის ფორმა

| ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | ქვეპროგრამის დასახელება | პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა |
|---|---|---|
| 04 02 02 | სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის | პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა |

| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახლაგაზრდობის სამსახური | ქვეპროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 130 000 | 130 000 | 145 000 | 145 000 |

| ქვეპროგრამის მიზანი | ბათუმელ სტუდენტთა წახალისება |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა | განათლებული საზოგადოება წარმატებული და ძლიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი საყრდენია.<br>იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტად ამაღლდეს სტუდენტის სწავლის ხარისხი, მნიშვნელოვანია მისი მოტივირება. სწავლის მოტივაცია კი წარმატების უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს.<br>მოტივაცია არის სტიმული, ქმედება, წახალისება, ძალა, რომელიც იწვევს სტუდენტის სურვილს, იმოქმედოს, ისწავლოს, მიაღწიოს უფრო მაღალ შედეგს.<br>მუნიციპალიტეტი უფლებამოსილების ფარგლებში, პირველ ყოვლისა წაახალისებს ქალაქისთვის პრიორიტეტულ და მნიშვნელოვანი მიმართულებების სტუდენტებს, რათა მათ გაზრდილი მოტივაციით მეტად აიმაღლონ სწავლის ხარისხი და საბოლოოდ ქალაქმა მიიღოს სპეციალისტი, რომელიც თავისი მიმართულებით მაღალკვალიფიციური იქნება. სწორედ, ამ მიზნით შეიქმნა ქვეპროგრამა „სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“.<br>ქვეპროგრამა ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს: |
| | 1. **ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის.** ღონისძიების ფარგლებში სტიპენდიანტთა შერჩევა განხორციელდება კონკურსის წესით. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ, ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის უმაღლეს საგანამანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტს - საქართველოს მოქალაქეს, რომელიც უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის მომენტისათვის რეგისტრირებულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად, 2022 - 2023 სასწავლო წლის, საკონკურსო - საშემოდგომო ან საგაზაფხულო სემესტრის მიხედვით, მიღებული აქვს დადებითი შეფასება:<br> პრიორიტეტულ მიმართულებებზე ჩარიცხულ სტუდენტებს - 81 ქულა და მეტი;<br> სხვა დანაჩენ მიმართულებებზე ჩარიცხულ სტუდენტებს - 91 ქულა და მეტი.<br>სტიპენდიის გაცემის დროს, პირველ ეტაპზე, განიხილება იმ სტუდენტთა დაფინანსების საკითხი, რომლებიც სწავლობენ დებულებით განსაზღვრულ პრიორიტეტულ სწავლის სფეროებზე. ამასთან, სემესტრში თუ ვერ გამოვლინდა საუკეთესო შედეგების მქონე 50 სტიპენდიანტი, პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით, მაშინ დარჩენილ ვაკანტურ ადგილებზე, დებულებით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, მოხდება, სხვა დანარჩენ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ საუკეთესო შედეგების მქონე სტუდენტთა შერჩევა.<br>ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია სემესტრში გაიცემა 50 სტუდენტზე. ერთ სტუდენტზე გაცემული სტიპენდიის ოდენობა შეადგენს 1 000 ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალსიწინებული გადასახადების ჩათვლით.<br>კონკურსის ჩატარების პირობები - განცხადების მიღების ვადები, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა, პრიორიტეტული მიმართულებები, შეფასების კრიტერიუმები და გამარჯვებულის გამოვლენა, სტიპენდიების გაცემის ვადები და სხვა დამატებითი პირობები, განისაზღვრება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით. |
| | 2. ტბელ აბუსერიძის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის.<br>სტიპენდიანტთა შერჩევა ხორციელდება კონკურსის წესით. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს კონკურსანტს - საქართველოს მოქალაქეს, რომელმაც ისწავლა/გაიარა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა საზღვარგარეთ - ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის, ავსტრალიისა და იაპონიის, შვეიცარიისა და ნორვეგიის, დიდი ბრიტანეთისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ (ბაკალავრიატი) ან მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა), რომელიც საზღვარგარეთ მიმღებ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის, ასევე, განაცხადის შემოტანის მომენტისათვის, რეგისტრირებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად 2022 - 2023 სასწავლო წლის მიხედვით, მიღებული აქვს დადებითი შეფასება: GPA (კარგი//მაღალი//უმაღლესი) - 2.0 – 4.0 ქულა.<br>სტიპენდია გაიცემა 10 სტიპენდიატზე. სტიპენდიის ოდენობა (თითოეულ სტიპენდიანტზე) შეადგენს 3 000 ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.<br>კონკურსის ჩატარების პირობები - განცხადების მიღების ვადები, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა, შეფასების კრიტერიუმები და გამარჯვებულის გამოვლენა, სტიპენდიების გაცემის ვადები და სხვა დამატებითი პირობები, განისაზღვრება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით. |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი | წახალისებულია ბათუმელი სტუდენტები |
|---|---|

| № | მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | ცდომილების ალბათობა (%/შესამლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო 2022 წელი | მიზნობრივი 2023 წელი | |
| 1 | სტიპენდიანტთა რაოდენობა | 110 | 110 | 10% - მაღალი აკადემიურ მოსწრების მქონე ბათუმელ სტუდენტთა ნაკლებობა |
| 2 | კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილი განაცხადების რაოდენობა | 220 | 220 | 20% -'განაცხადების რაოდენობა დამოკიდებულია სტუდენტთა მომართვიანობაზე |
| 3 | კონკურში მონაწილე სტუდენტთა კმაყოფილების მაჩვენებებლი (კონკურსში მონაწილე სტუდენტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ კონკურსში გამარჯვება დამატებითი მოტივაციაა საიმისოდ, რომ გააუმჯობესონ სწავლის აკადემიური მაჩვენებელი, მიიღონ მატერიალური სარგებელი, რაც თავის მხრივ აისახება მათი სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების ხარისხზე. ნაწილი სტუდენტებისა აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტის მხრიდან ფინანსური მხარდაჭერის ეს ფორმა შეუძლიათ განათლებისათვის საჭირო დანახარჯებისკენ მიმართონ) | საორიენტაციო მაჩვენებელი - 70%-ზე მეტი | საორიენტაციო მაჩვენებელი - 75%-ზე მეტი | 10% - გამოკითხვაში მონაწილეობაზე უარი |

| № | ღონისძიების დასახელება | | პროდუქტები | | | სულ (ლარი) | მათ შორის: | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის საშუალო ფასი | | საბიუჯეტო სახსრები | საკუთარი სახსრები |
| 1 | ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის | 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის შედეგების მიხედვით სტიპენდიების გაცემა | პირი | 50 | 1 000 | 50 000 | 50 000 | |
| | | 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის შედეგების მიხედვით სტიპენდიების გაცემა | პირი | 50 | 1 000 | 50 000 | 50 000 | |
| 2 | ტბელ აბუსერიძის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის | | პირი | 10 | 3 000 | 30 000 | 30 000 | |
| სულ ქვეპროგრამა | | | | | | 130 000 | 130 000 | 0 |

| № | დამატებითი ინფორმაცია |
|---|---|
| 1 | |